

როგორ უზრუნველევოთ სასკოლო კლუბის საშუალებით საბაზო  
საფეხურის VII კლასის მოსწავლეებში დემოკრატიული კულტურის  
კომპეტენციების განვითარება საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია  
და სამოქალაქო განათლება) სწავლების საფუძველზე

ინდირა ბენდელიანი

ილია ყუთულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო  
და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (საზოგადოებრივი  
მეცნიერებების მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მალაზონია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

**განაცხადი:**

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხარებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

ინდირა ბენდელიანი

ილია ყუთულაშვილი

26.06.2017

## მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს და პრაქტიკის კვლევაში ჩართულ ისტორიის მასწავლებელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს დავით მაღაზონიას, ნაშრომის მომზადების ფარგლებსი გაწეული თანადგომისა და დახმარებისთვის.

მადლობა სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს, ქალბატონ, ნათია ნაცვლიშვილს საჭირო რესურსების და მასალების მოძიებაში დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ, კერძო სკოლა „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მეშვიდე კლასის მოსწავლეებს.

მადლობა კვლევაში ჩართული სკოლის „თანამედროვე განათლების აკადემიის“ ადმინისტრაციას და სკოლის პედაგოგებს თანაშრომლობისთვის.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორ ნინო ჭიაბრიშვილს კონსულტირებისათვის.

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თბილისის კერძო სკოლა „თანამედროვე განათლების აკადემიაში“ განხორციელებულ პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანია სასკოლო კლუბის საშუალებით დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება VII კლასის მოსწავლეებში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების საფუძველზე.

კვლევა განხორციელდა ისტორიის მასწავლებლის ჩართულობით. კვლევის პირველ ეტაპზე ჩამოვყალიბეთ კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები, რომლებიც ითვალისწინებდა დაგვედგინა:

- რამდენად უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას?
- რამდენად უზრუნველყოფს არასაგაკვეთილო აქტივობები, სასკოლო ღონისძიებები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას?
- ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით რა გავლენის მოხდება შეუძლია არასასკოლო აქტივობებს (ინტერვენციებს) მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე?

კვლევის დასაწყისში ვივარაუდეთ, რომ კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას.

თვისებრივი კვლევის, კერძოდ: ჩაღრმავებული ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფის, გაკვეთილზე დაკვირვების და ისტორიის სახელმძღვანელოს ანალიზის საფუძველზე გამოვკვეთეთ რამდენიმე პრობლემა. შევექმენით განვითარებული კომპეტენციების ცხრილი. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჯგუფიდან ავირჩიეთ მოქალაქეობრივი აზროვნების კომპეტენცია, რომლის განვითარებაც, სასკოლო კლუბის ფარგლებში, მოსწავლეების საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩართვით გადავწყვიტეთ.

კვლევამ აჩვენა, რომ ინტერვენციებმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების კომპეტენციის განვითარებას. რადგან მოსწავლეები

ჩაერთნენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხილვაში, მონაწილეობა მიიღეს კოლექტიური გადაწყვეტილებების პროცესში, გამოთქვეს თანამშრომლობის მზაობა, გამოხატეს მზაობა საკუთარი წვლილი შეეტანათ საზოგადოებაში, სხვა ადამიანების მდგომარეობის გამუჯობების პროცესში. ჩაერთნენ გარემოსდაცვით ღონიძიებაში და განიხილეს რა შეიძლება გაკეთდეს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ახალი მოდელი, 2016).

კვლევამ დაადგინა, რომ კლუბური მუშაობა, როგორც არასაკლასო გარემო, ხელს უწყობს მოსწავლეების პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვას და იმ კომპეტენციების განვითარებას, რომელსაც არ ითვისებენ საგაკვეთილო პროცესი, სახელმძღვანელო და სკოლის ფორმალური გარემო.

**საძიებო სიტყვები:** დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, მოქალაქეობრივი აზროვნება, სასკოლო კლუბი.

## ABSTRACT

The work represents the result of practice research in Tbilisi private school Contemporary Education Academy. The aim of research is to develop competences for democratic culture in the 7<sup>th</sup> grade students, on social science lessons.

The research was conducted with the involvement of history teacher. At the first stage of the study we set out the research objective and research questions:

1. How well social science lesson supports the development of competences for democratic culture?
2. How well non-lesson activities, school events support development of competences for democratic culture?
3. How can influence lesson and non-lesson activities (interventions) on development of competences for democratic culture?

At the beginning we presumed, that club work promotes the development of competences for democratic culture in students.

On a base of qualitative research (in-depth interview, focus groups, lesson observation and history textbook analyses) several problems were revealed.

We made the list of competences for democratic culture. We chose civic thinking competence from above list and decided to develop it with activities carried out in school club, namely by involving students in socially useful activities.

The research showed, that interventions have promoted civic thinking competence in students: they took part in discussions about socially useful activities and collective decision-making process; they expressed willingness to contribute to society in the process of improving the condition of other people; they have been involved in environment protection activities and in discussions about possible solutions of social problems (New model of competences for democratic culture, 2016).

The results of research proved that club work, as a non-class activity encourages the involvement of students in practical activities and development of competences that are not

foreseen during the teaching process on social science lessons, nor textbook or school formal environment.